# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 131

## 2019 წ. "10" 07

ქ. თბილისი

**სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის" საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ**

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს" (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების დონე / საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აზომვით - ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება (1) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში 0731 | 90 | 120 | ქართული | 40 | ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა |
| 2 | სამკერვალო წარმოება (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723 | 99 | 114 | ქართული | 32 | ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).*

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №10 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ნანა ყუფუნია